

ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის წლიური
ბიუჯეტის შესრულების შესახებ

თავი I. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება
1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსი ცხრ. 1

(ათას ლარი) ცხრ. N1

დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახ. ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახ. ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	23 885,9	10 823,5	13 062,4	24 724,5	10 796,1	13 928,4
გადასახადები	10 218,4	0,0	10 218,4	10 203,8	0,0	10 203,8
გრანტები	12 373,5	10 823,5	1 550,0	13 848,8	10 796,1	3 052,7
სხვა შემოსავლები	1 294,0	0,0	1 294,0	671,8	0,0	671,8
ხარჯები	15 167,2	2 322,5	12 844,8	14 595,1	2 192,6	12 402,6
შრომის ანაზღაურება	2 899,8	114,9	2 784,8	2 867,6	114,7	2 752,9
საქონელი და მომსახურება	3 206,9	1 648,0	1 558,9	3 088,1	1 634,7	1 453,4
პროცენტი	28,0	0,0	28,0	18,6	0,0	18,6
სუბსიდიები	6 879,7	124,0	6 755,7	6 726,9	123,5	6 603,3
გრანტები	42,0	0,0	42,0	42,0	0,0	42,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 342,0	11,1	1 330,9	1 240,4	10,8	1 229,6
სხვა ხარჯები	769,0	424,4	344,5	611,6	308,9	302,7
საოპერაციო საღებავი	8 718,7	8 501,0	217,6	10 129,3	8 603,5	1 525,9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10 075,8	9 082,6	993,2	8 875,8	8 063,3	812,5
ზრდა	10 125,8	9 082,6	1 043,2	8 890,7	8 063,3	827,4
კლება	50,0	0,0	50,0	15,0	0,0	15,0
მთლიანი საღებავი	-1 357,1	-581,5	-775,6	1 253,6	540,2	713,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 409,1	-581,5	-827,608	1 202,6	540,2	662,439
კლება	1 409,147	581,539	827,608	-1 202,628	-540,2	-662,4
ვალდებულებების ცვლილება	-52,0	0,0	-52,0	-50,9	0,0	-50,9
კლება	52,0	0,0	52,0	50,9	0,0	50,9
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01.01.2023 წელი				1 763,1	935,5	827,6
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის 31.12. 2023 წელი				2 965,8	1 475,7	1 490,0


2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

ცხრ. N2

დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	23 935,9	10 823,5	13 112,4	24 739,4	10 796,1	13 943,4	103,4	99,7	106,3
შემოსავლები	23 885,9	10 823,5	13 062,4	24 724,5	10 796,1	13 928,4	103,5	99,7	106,6
არაფინანსური აქტივების კლება	50,0	0,0	50,0	15,0	0,0	15,0	29,9		29,9
გადასახდელები	25 345,1	11 405,1	13 940,0	23 536,8	10 255,9	13 280,9	92,9	89,9	95,3

დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	15 167,2	2 322,5	12 844,8	14 595,1	2 192,6	12 402,6	96,2	94,4	96,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 125,8	9 082,6	1 043,2	8 890,7	8 063,3	827,4	87,8	88,8	79,3
ვალდებულებების კლება	52,0	0,0	52,0	50,9	0,0	50,9	97,9		97,9
ნაშთის ცვლილება	-1 409,1	-581,5	-827,6	1 202,6	540,2	662,4			

დაფრ. N 1



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 12 733,0 ათასი ლარით, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა 11 202,904 ათასი ლარით და განისაზღვრა 23 935,9 ათასი ლარით. მ.შ. გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ხარჯზე 10 583,5 ათასი ლარით და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე 619,4 ათასი ლარით (მ. შ. გაიზარდა დღგ -დან მიღებული შემოსავლები 150,4 ათასი ლარით და სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება 1 550,0 ათასი ლარით; შემცირდა ქონების გადასახადის გეგმა 850,0 ათასი ლარით და ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები 231,0 ათასი ლარით) .

ფაქტიურად, 2023 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მიიღო 24 739,4 ათასი ლარის შემოსულობები. შემოსულობების გეგმა შესრულებულია 103,4 %-ით. გეგმის ზევით მობილიზებულია 803,5 ათასი ლარი, ხოლო გასულ 2022 წელთან შედარებით მიღებულია 1 155,2 ათასი ლარით მეტი შემოსულობები.

ა) საგადასახადო შემოსავლები

გადასახადები დაგეგმილი 10 218,4 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 10 203,8 ათასი ლარი, წლის განმავლობაში მოხდა გადასახადების გეგმების დაზუსტება და დამტკიცებული გეგმა 10 918,0 ათასი ლარი შემცირდა 699,6 ათასი ლარით. (მ.შ. შემცირდა ქონების გადასახადის გეგმა 850,0 ათასი ლარით და გაიზარდა დღგ-ს გეგმა 150,4 ათასი ლარით)

ფაქტიურად, გადასახადების 2023 წლის გეგმა შესრულებულია 99,9 %-ით. გეგმის შესრულებას დააკლდა მხოლოდ 14,6 ათასი ათასი ლარი, მიუხედავად აღნიშნულია 2022 წლის შედეგებთან შედარებით ფაქტიურად მიღებული გადასახადები 2023 წელს გაზრდილია 65,2 ათასი ლარით. აქედან,

ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები განსაზღვრული 1 600,0 ათასი ლარიდან მიღებულია 1 598,5 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებულია 201,8 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონების

გადასახადიდან 588,3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან 7.0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან 15.1 ათასი ლარი და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან 786.3 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან დაგემილი 8 618,4 ათასი ლარიდან მიღებულია 8 605,3 ათასი ლარი, დაგემილზე 13,2 ათასი ლარით ნაკლები, მაგრამ წინა 2022 წელთან შედარებით 958,7 ათასი ლარით მეტი.

გბრ. N3

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	8 618,4	8 605,3	99,8
ქონების გადასახადი	1 600,0	1 598,5	99,9
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	210,0	201,8	96,1
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	590,0	588,3	99,7
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	0,0	7,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	15,1	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	800,0	786,3	98,3
გადასახადები სულ	10 218,4	10 203,8	99,9

ბ) გრანტები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტები მუნიციპალიტეტმა დაგემილი 12 373,5 ათასი ლარიდან მიიღო 13 848,8 ათასი ლარი, 111,9 %, დაგემილზე 1 475,3 ათასი ლარით მეტი, აღნიშნული მთლიანად განპირობებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან წლის ბოლო რიცხვებში გამოყოფილი ფინანსური დახმარებით, რომლის მიზანი იყო 2024 წლის ბიუჯეტში წლის დასაწყისში გაჩენილი მინიმალური რესურსები. 2022 წელთან შედარებით ფაქტიურად მიღებული გრანტების მოცულობა გაზრდილია 1 333,7 ათასი ლარით. მათ შორის:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით გამოყოფილი 6 262,5 ათასი ლარიდან მიღებულია 6261,7 ათასი ლარი -საქართველოს მთავრობის N 2475 განკარგულებით.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გამოყოფილი 890,0 ათასი ლარი მიიღო სრულად საქ. მთავრობის N 2476 განკარგულებით;

მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 689,7 ათასი ლარი ასევე მიიღო სრულად საქ. მთავრობის N 301 განკარგულებით;

მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლება-მოსილებებში განსახორციელებლად 240,0 ათასი ლარი დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად;

მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრასპორტირებისათვის 1017,4 ათასი ლარი სრულად საქ. მთავრობის N 147 განკარგულებით.

მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის 153,2 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 147 განკარგულებით.

სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საქ. მთავრობის N 116 განკარგულებით დაგემილი 1 270,0 ათასი ლარიდან 1 246,8 ათასი ლარი.

სპეციალური ტრანსფერი ფინანსური დახმარების მიზნით საქ. მთავრობის N 197 განკარგულებით 1 850,0 ათასი ლარის მიღებულია სრულად, ხოლო გეგმის ზევით მიღებული 1 500,0 ათასი ლარი, როგორც ზევით იქნა აღნიშნული განკუთვნილი იქნა მომავალი 2024 საბიუჯეტო წლის თავდაპირველი რესურსების უზრუნველსაყოფად.

გზრ. N 4

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1411,2	1410,6	99,9
კაპიტალური ტრანსფერი	7842,2	7841,4	99,7
მ.შ. მაღალმთიანი დასახლების ღონისძიებები	689,7	689,7	100,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	890,0	890,0	100,00
სპეციალური ტრანსფერი	3120,0	4596,8	147,3
გრანტები სულ	12373,5	13848,8	111,9

გზრ. N 5

N	თანხა	გრანტის გამომყოფი	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	გრანტის გამოყოფის საფუძველი	გამოყოფის თარიღი
1	240,0	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად	2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი	25.12.2023 წელი
2	1017,4	ცენტრალური ხელისუფლება	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად	საქ. მთავრობის N 147 განკარგულება	23/01 2023 წ
3	153,2	ცენტრალური ხელისუფლება	სკოლების რეაბილიტაცია	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად	საქ. მთავრობის N 147 განკარგულება	23/01 2023 წ
4	6261,7	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	რეგიონების განვითარების ფონდი	საქ. მთავრობის N 2475 განკარგულება	29/12 2022 წ
5	689,7	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	მაღალმთიანი დასახლებების განვ. ფონდი	საქ. მთავრობის N 301 განკარგულება	09/02 2023 წ
6	890,0	ცენტრალური ხელისუფლება	კაპ. ტრანსფერი	სოფლის მხარდამჭერი პროგრ. ფონდი	საქ. მთავრობის N 2476 განკარგულება	29/12 2022 წ
7	1246,8	ცენტრალური ხელისუფლება	სპეციალური ტრანსფერი	სტიქიის სედეგების სალიკვიდაციო	საქ. მთავრობის N 116 განკარგულება	20/01 2023 წ
8	3350,0	ცენტრალური ხელისუფლება	სპეციალური ტრანსფერი	ფინანსური დახმარება	საქ. მთავრობის N 197 განკარგულება	30/01 2023 წ

გ) სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები დაგეგმილი 1 294,0 ათასი ლარის ნაცვლად მუნიციპალიტეტმა მიიღო 671,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 51,9 %-ით, გეგმის შესრულებას დააკლდა 622,2 ათასი ლარი და წინა 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 248,2 ათასი ლარით. მიუხედავად ჯარიმების სახეში გეგმების 231,0 ათასი ლარით დაზუსტებისა (შემცირება), კვლავ შეუსრულებელი დარჩა ჯარიმებიდან და სანებართვო მოსაკრებლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა და დააკლდა 758,2 ათასი ლარი; ასევე შეუსრულებელი დარჩა ბუნებრივი რესურსებიდან მისაღები შემოსავლებისა და იჯარიდან მისაღები შემოსავლების გეგმები. სხვა შემოსავლების ყველა დანარჩენ სახეში გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით. მ. შ. პროცენტებიდან 50,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 63,6 ათასი ლარი; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის დაგეგმილი 70,0 ათასი ლარიდან 57,5 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან (უზურფრუქტი, ქირავნობა) 45,0 ათასი ლარის ნაცვლად 32,5 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი 5,0 ათასი ლარის ნაცვლად 5,3 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებიდან 55,0 ათასი ლარის ნაცვლად 158,6 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები, საურავები და პირგასამტეხლოები 1069,0 ათასი ლარის მაგივრად მხოლოდ 310,8 ათასი ლარი -29,1 %; და დაუგეგმავად შემოსული 43,5 ათასი ლარი. მათ შორის 34,3 ათასი ლარი არის წინა წელს გადარიცხული და 2023 წელს უკან დაბრუნებული თანხა; 8,4 ათასი ლარი არის ხელშეკრულების შეუსრულებლობის პირგასამტეხლო; 0,2 ათასი ლარი არის სამხედრო სავალდებულო გადასახადის გადავადებისათვის გადახდილი მოსაკრებელი; 0,6 ათასი ლარი არის მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ხარჯი.

გზრ. N 6

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	165,0	153,6	93,1
პროცენტები	50,0	63,6	127,2

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
რენტა	115,0	90,0	78,2
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	70,0	57,5	82,1
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	45,0	32,5	72,2
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	60,0	164,0	273,3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	60,0	164,0	273,3
სანებართვო მოსაკრებელი	5,0	5,3	106,6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	55,0	158,6	288,4
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 069,0	310,8	29,1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	0,0	43,5	
სხვა შემოსავლები სულ	1 294,0	671,8	51,9

დ) არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი 50,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 15,0 ათასი ლარი მიწის გაყიდვიდან, რადგან ინვენტარიზაციის პროცესის მიმდინარეობის გამო პრივატიზაციის პროცესი შეფერხებული იყო.

გზრ. N7

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	30,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	20,0	15,0	74,8
მიწა	20,0	15,0	74,8
არაფინანსური აქტივების კლება	50,0	15,0	29,9

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

გზრ. N8

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	2 899,8	2 867,6	98,9
საქონელი და მომსახურება	3 206,9	3 088,1	96,3
პროცენტები	28,0	18,6	66,4
სუბსიდიები	6 879,7	6 726,9	97,8
გრანტები	42,0	42,0	100,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 342,0	1 240,4	92,4
სხვა ხარჯები	769,0	611,6	79,5
ხარჯები სულ	15 167,2	14 595,1	96,2

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

ცხრ. N 9

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	10 125,8	8 890,7	87,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 125,8	8 890,7	87,8

ზ) არაფინანსური აქტივების ზრდის მარკეტინგული პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ცხრ. N 10

პროგრამული კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	112,2	85,8	76,5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9 613,5	8 462,1	88,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4,4	4,4	100,0
04 00	განათლება	238,5	203,9	85,5
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	157,1	134,5	85,6
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	

ზ) ვალდებულებები

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ათ წლიანი სასახეო ვალდებულებები ჯამში (პროცენტის ჩათვლით) შეადგენდა 532 952 ლარს, აქედან სესხის სახით გადასახდელი იყო 356 455 ლარი. სახით. იმის გამო რომ სესხის ვადის ათვლა დაწყებულია 2016 წლიდან (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გაცემული პირველი ტრანშის თარიღიდან 2016 წლის 21 დეკემბერი), დაფარულად ითვლება შვიდი წელი, მიუხედავად იმისა რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველი გადახდა 2018 წელს განახორციელდა, აქედან გამომდინარე გადასახდელი დარჩა მომდევნო სამი წელი (2024; 2025; 2026)

მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად იხდის გადასახადს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით. რომელიც წლის მანძილზე ხორციელდება ორ ეტაპად: 28 აპრილს და 28 ოქტომბერს. დღეის მდგომარეობით სულ დაფარულია 404,8 ათასი ლარი, აქედან 229,2 ათ. ლარი სესხის და 175,6 ათ. ლარი პროცენტის სახით. 2023 წელს სესხის სახით (ვალდებულებების კლება) გახდილია 50,9 ათასი ლარი, დაგეგმილი 52,0 ათასი ლარიდან. (დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იყო სავალუტო კურსის ცვლილება)

ცხრ. N 11

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	52,0	50,9	97,9
ვალდებულებების კლება	52,0	50,9	97,9

თ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ცხრ. N 12

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1 409,1	- 2 965,8
ზრდა	0,0	0,0
კლება	1409,1	2 965,8

2023 წლის პირველი იანვრისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ერიცხებოდა 1 763,1 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი, საიდანაც 2023 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა ვალდებულებებისა და ხარჯების

დასაფარავად განაწილდა 1 409,1 ათასი ლარი, მათ შორის 581,5 ათ. ლარი სახელმწიფო ფონდებით გამოყოფილი სახსრების ნაშთებიდან და 827,6 ათასი ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. 2023 წლის ბოლოსათვის დარჩენილმა ნაშთმა კი შეადგინა 2 965.8 ათასი ლარი, საიდანაც სახ. ფონდების ნაშთში დარჩა 1 475,7 ათასი ლარი და საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთში 1 490,0 ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს რომ 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას ბიუჯეტის დასაბალანსებლად გამოყენებული საკ. სახსრების ნაშთი 1447,0 ათასი ლარი, ფაქტიურად არ აღმოჩნდა 2023 წლის პირველ ინვარს და განისაზღვრა მხოლოდ 827,6 ათასი ლარი, რის გამოც მოხდა ტექნიკური დაზუსტება საქ. ფინანსთა სამინისტროდან გამოყოფილი 700,0 ათასი ლარის ფინანსური დახმარების ხარჯზე. კერძოდ ნაშთი შემცირდა 619,4 ათასი ლარით და განისაზღვრა 827,6 ათასი ლარით, ხოლო სხვაობის თანხით 80,6 ათასი ლარით მოხდა ჯარიმების თავდაპირველი გეგმის 1300,0 ათასი ლარის შემცირება (700,0-619,4), რის შედეგადაც ჯარიმების გეგმა განისაზღვრა 1219,4 ათასი ლარით, რომელიც შემდეგ ეტაპზე, როდესაც მოხდა დღგ-ს გეგმის გაზრდა 150,4 ათასი ლარით, კვლავ შემცირდა და საბოლოოდ განისაზღვრა 1069,0 ათასი ლარით.

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით


მუნიციპალიტეტის ფაქტიური გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში ძირითადი კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა და ყველაზე მეტი ხვედრითი წილი ეკონომიკურ საქმიანობას უჭირავს 8723,2 ათ. ლარი, ხარჯების 37,1 %. ცხრ. N 13. დიაგრ. N 2

ცხრ. N 13

ფუნქციონალური კლასი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების %	ხვ. წილი %
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 507,0	4 339,3	96,3	18,0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 507,0	4 339,3	96,3	
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 463,3	4 320,7	96,8	
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	43,7	18,6	42,5	
704	ეკონომიკური საქმიანობა	9 347,2	8 723,2	93,3	37,0
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0		
7045	ტრანსპორტი	9 347,2	8 723,2	93,3	
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	8 244,0	7 514,1	91,1	
705	გარემოს დაცვა	1 618,7	1 557,2	96,2	7,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 618,7	1 557,2	96,2	
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 361,6	659,1	48,4	3,0
7061	ბინათმშენებლობა	111,7	100,3	89,8	
7063	წყალმომარაგება	724,1	78,2	10,8	
7064	გარე განათება	291,0	268,4	92,2	
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	234,8	212,2	90,4	
707	ჯანმრთელობის დაცვა	240,5	231,4	96,2	1,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	8,0	1,6	20,0	
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	8,0	1,6	20,0	
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	232,5	229,8	98,8	
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 400,0	2 352,7	98,0	10,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	232,5	207,8	97,8	

ფუნქციური კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების %	ხვ. წილი %
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 525,0	1 494,6	98,0	
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	94,5	94,4	99,9	
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	57,0	55,9	98,1	
709	განათლება	3 826,3	3 749,8	98,0	16,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 310,0	2 243,3	97,1	
7092	ზოგადი განათლება	1 301,3	1 297,8	99,7	
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1 301,3	1 297,8	99,7	
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	215,0	208,6	97,0	
710	სოციალური დაცვა	1 991,8	1 873,0	94,0	8,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	614,4	574,5	93,5	
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	534,4	510,6	95,5	
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	80,0	63,9	79,9	
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,0	0,0	0,0	
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	39,0	38,0	97,3	
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	570,0	553,8	97,2	
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	322,4	306,1	94,9	
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	21,0	13,4	63,8	
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	423,9	387,3	91,4	
	სულ	25 293,1	23 485,9	92,9	100%

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადსახდელები (ხარჯები) დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 14 180,0 ათასი ლარით, (ცხრ. N 4) წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადსახდელები ნაწილში გაიზარდა 11 165,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 25 345, 1 ათასი ლარით, გადსახდელების წყაროა 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 23 935,9 ათასი ლარი და 1409,0 ათასი ლარის ნაშთი. (მ. შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთი 581,5 ათასი ლარი და საკ. სახსრების ნაშთი დაკორექტირების შემდეგ 827,6 ათასი ლარი). ფაქტიურად 2023 წლის გადსახდელები დაფინანსდა 23 536,8 ათასი ლარით, 92,6 %-ით და წინა 2022 წლის ბიუჯეტის გადსახდელებზე 1 723,7 ათასი ლარით ნაკლები იქნა გაწეული. 2022 წელს გაწეული იქნა 25 260,5 ათასი ლარის ხარჯი.

პრიორიტეტების მიხედვით ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებაზე. ცხრ. N 14. დიაგრ. N 3;4.


პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ცხრ. N 14


ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის	2023 წლის დამტკიცებული გეგმა			2023 წლის დაზუსტებული გეგმა			2023 წლის იანვარ-დეკემბრის შესრულება			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახ. ბიუჯეტის	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტის	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტის	საკ. შემოსავლები	
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	4 935,8	115,0	4 820,8	4 559,0	115,0	4 444,0	4 390,2	114,7	4 275,5	96,3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1 130,0	0,0	1 130,0	10 708,8	9 374,2	1 334,6	9 382,4	8 253,9	1 128,5	87,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 561,7	0,0	1 561,7	1 618,7	0,0	1 618,7	1 557,2	0,0	1 557,2	96,2
04 00	განათლება	2 710,0	0,0	2 710,0	3 826,3	1 171,3	2 655,0	3 749,8	1 170,6	2 579,2	98,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 936,3	0,0	1 936,3	2 400,0	395,9	2 004,1	2 352,7	371,9	1 980,9	98,0

	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2023 წლის დამტკიცებული გეგმა			2023 წლის დაზუსტებული გეგმა			2023 წლის იანვარ-დეკემბრის შესრულება			%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 906,2	125,0	1 781,2	2 232,3	348,7	1 883,6	2 104,4	344,7	1 759,7	94,3
	სულ	14 180,0	240,0	13 940,0	25 345,1	11 405,1	13 940,0	23 536,8	10 255,9	13 280,9	92,9

დიაგრ. N 3



დიაგრ. N 4




N14 ცხრილისა და N 3; 4 დიაგრამების მიხედვით ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამული კოდი 02 00 წარმოადგენს, 2023 წელს აღნიშნულ პრიორიტეტზე გათვალისწინებული იყო 10 708,3 ათასი ლარის დახარჯვა, ფაქტიურად დახარჯულია 9 382,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 87,6-ით.

ცხრ. N 15 ათას ლარებში

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2023 წლის დამტკიცებული გეგმა			2023 წლის დაზუსტებული გეგმა			2023 წლის იანვარ-დეკემბრის შესრულება			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახ. ბიუჯეტის	საკ. შემოსავლების		სახ. ბიუჯეტის	საკ. შემოსავლების		სახ. ბიუჯეტის	საკ. შემოსავლების	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1 130,0	0,0	1 130,0	10 708,8	9 374,2	1 334,6	9 382,4	8 253,9	1 128,5	87,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	480,0	0,0	480,0	8 237,309	7 515,192	722,117	7 642,380	7 071,3	571,071	92,8
02 01 01	გზების კაპიტალური მსენებლობა	250,0	0,0	250,0	7 654,857	7 276,453	378,404	7 201,270	6 956,764	244,506	94,1
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	120,0	0,0	120,0	357,454	112,283	245,171	241,857	0,0	241,857	67,7
02 01 04	ხიდების, ბოგიერების მშენებლობა, რეაბილიტაცია	50,0	0,0	50,0	134,386	126,456	7,930	121,524	114,545	6,979	90,4
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	60,0	0,0	60,0	90,612	0,000	90,612	77,729	0,0	77,729	85,8
02 02	წყლის სისტემის განვითარება	130,0	0,0	130,0	724,121	650,335	73,786	78,217	5,699	72,518	10,8
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	130,0	0,0	130,0	30,129	0,000	30,129	28,861	0,000	28,861	95,8
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე და მდინარის ნაპირსამაგრიების მოწყობა)	0,0	0,0	0,0	693,992	650,335	43,657	49,356	5,699	43,657	7,1
02 03	გარე განათება	255,0	0,0	255,0	291,000	0,000	291,000	268,400	0,0	268,400	92,2
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	255,0	0,0	255,0	291,000	0,000	291,000	268,400	0,000	268,400	92,2
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	180,0	0,0	180,0	111,723	97,460	14,263	100,335	97,460	2,875	89,8
02 05	კეთილმოწყობა	60,0	0,0	60,0	234,790	210,222	24,568	212,176	203,456	8,720	90,4
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემობვა	0,0	0,0	0,0	0,000	0,000	0,000	0,0	0,0	0,0	
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	60,0	0,0	60,0	234,790	210,222	24,568	212,2	203,456	8,720	90,4
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	15,0	0,0	15,0	1 109,898	901,006	208,892	1 080,849	875,980	204,869	97,4
02 10	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	10,0	0,0	10,0	0,000	0,000	0,000	0,0	0,0	0,0	

დიაგრამა N 5



N 15 ცხრილისა და დიაგრამის N5 დიაგრამის -ის თანახმად ინფრასტრუქტურის პრიორიტეტიდან ყველაზე მეტი 7 642,4 ათასი ლარი 81% მიმართულია „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე - პროგრამული კოდი 02 01“ ამ პროგრამის დაფინანსების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაიზარდა მოასფალტებული და გასწორხაზოვნებული შიდა გზების რაოდენობა, რეაბილიტირებული ხიდები და ხიდბოგირები, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობა და შეიქმნა შედარებით უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების შესაძლებლობა. საგზაო ინფრასტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის გზების კაპიტალურ მშენებლობაზე.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი საბოლოო ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	27	30	30		
2	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები	18	20	21კვ/მ		
	ახალი და რეაბილიტირებული ხიდების, ბოგირების და მილხიდების რაოდენობა	9	7	1		
	სოფლების რაოდენობა, სადაც მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტი ემსახურება	20	26	26		

გზების კაპიტალურ მშენებლობა - პროგრამული კოდი 02 01 01 დაგეგმილი 7 654,9 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 7 201,3 ათასი ლარის ხარჯი , 94,1 %, მ. შ სახ. ფონდების 7 515,2 ათ. ლარიდან გადარიცხულია 7 071,3 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრების 378,4 ათ. ლარიდან გადარიცხულია 244,5 ათასი ლარი. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ მშენებლობას. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა მუნიციპალიტეტის შიდა გზების რეაბილიტაცია რეგიონალური განვითარების ფონდიდან 6 102.1 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის N 2475 განკარგულებით. აღნიშნულ განკარგულებით დაფინანსდა შემდეგი პროექტები: (დან. N 1)

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მაქათუბნის ორ უბანში გზის რეაბილიტაცია(II ეტაპი);
- სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია(მესხების უბანი);
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი);
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია(მესერიძეების უბანი);
- სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია(ცქიტიშვილების უბანი);
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია(მესერიძეების უბანი) II -ეტაპი;
- სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ წყალაფორეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ ნებომირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ დეისის გზის რეაბილიტაცია(მეორე უბანი);
- სოფელ მარელისში გზის რეაბილიტაცია(ქურდაძეების უბანი);
- სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია(წიქარიშვილების უბანი);
- სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია(გუბათის უბანი);
- სოფელ ხიდარში გლუნჩაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ ბრუისში გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ წიფში გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ საღანძილში იჩქიტიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- დაბა ხარაგაულში დევდარიანის ქუჩის რეაბილიტაცია;
- სოფ.ფარცხნალში საუბნო გზის რეაბილიტაცია(ეკლესიის უბანი);
- სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია(ვეფხვაძეების უბანი,ხანდები);

სოფელ ბაზალეთის, სოფელ წყალაფორეთის, სოფელ ვარძიის და კიცხი-ხიდარის დამაკავშირებელი ა/ბეტონის საფარიანი გზების რეაბილიტაცია;
 სოფელ ჭარტალში გზის რეაბილიტაცია;
 სოფელ ლელვანში ეკლესიის საუბნო გზის რეაბილიტაცია; სოფელ მარელისში გზის რეაბილიტაცია (ქურდაძეების უბანი II უბანი);
 სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია;
 სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (კავილაძეების უბანი);
 სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ახალ სკოლასთან);
 სოფელ კიცხში ოქრომჭედლიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;
 სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია;
 სოფელ სარგვეში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხვიჩა მუშლაძის უბანი);
 სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია;
 მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან საქ. მთავრობის N 301 განკარგულებით 689,5 ათასი ლარი. (დან. N 1) მათ შორის დაფინანსდა სოფელ გედსამანიაში გზის რეაბილიტაცია (ბლიაძეების უბანი); სოფელ წიფაში გზის რეაბილიტაცია.

წინა წლის სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან 165,2 ათასი ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მოხდა საზედამხებველო 5%-ისა და პროექტირების დაფინანსება 244,5 ათასი ლარი. მ. შ. ინსპექტირებაზე 201,7 ათასი ლარი; პროექტირებაზე 12,2 ათასი ლარი.

აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა; ტრანსპორტის, ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის შექმნილია შედარებით უსაფრთხო გადაადგილების პირობები

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	რეაბილიტირებული გზების სიგრძე სადგ ჩატარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	27	30	30კმ		
2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით, სადაც ჩატარდა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	2200	2500	2400	100	

გზების მიმდინარე შეკეთებაზე - პროგრამული კოდი 03 01 02 “ დაგეგმილი 357,5 ათ. ლარიდან (მ.შ. სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან 112,3 ათასი ლარი და საკ, სახსრებით 245,2 ათასი ლარი) დახარჯულია 241,9 ათასი ლარი საკ.სახსრების ხარჯზე. აღნიშნული სახსრები მოხმარდა გზების გასწორხაზოვნებას, გათოვლას, ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების გამართულად მუშაობის მომსახურებას, ასევე საგზაო ნიშნების დამონტაჟებას.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	მოხრეშილი გზების საერთო სიგრძე	18	20	21კვ/მ		
2	გზებისა და ქუჩების საერთო რაოდენობა, რომლის მოვლა-პატრონობა ხდება	40	40	40		

ხიდების რეაბილიტაციაზე - პროგრამული კოდი 02 01 04 “ გათვალისწინებული 134,4 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 121,5 ათასი ლარი, აქედან, საქ. მთავრობის N 2475 განკარგულებით სოფელ ამაშუკეთის ხიდის რეაბილიტაცია 96,9 ათასი ლარი; საქ. მთავრობის 2022 წლის 26.01 N 131 განკარგულების ნაშთიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაწეული იქნა 17,6 ათასი ლარი. საკ. სახსრებით ხიდების მოწყობაზე დახარჯულია 6,9 ათასი ლარი.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	მოწყობილი/რეაბილიტირებული ხიდების სიგრძე	36	30	30	
2	მოწყობილი/რეაბილიტირებული ხიდების რაოდენობა	9	7	1	

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებაზე- პროგრამული კოდი 03 01 05“ მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 90,6 ათასი ლარიდან დახარჯა 90,6 ათასი ლარი ნადაბური-ხარაგაულის, ხარაგაული-ზვარის, ხარაგაული-სხლითის, ხარაგაული-თეთრაწყარო-კიცხისა და ვახანი-ვახანისწყლის მიმართულებით განხორციელებულ რეისებზე. ამ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ტრანსპორტის შეუფერხებელი მომსახურება ხელს უწყობს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოხუცების სოფლებიდან დაბაში გადაადგილებას სხვადასხვა სერვისების მისაღებად.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	სოფლების რაოდენობა სადაც ხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება	20	26	26	
2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით	550	750	750	

წყლის სისტემის განვითარება პროგრამული კოდი 02 02 “ გეგმით გათვალისწინებული 724,1ათასი ლარის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით ფაქტიურად გადარიცხულია 78,2 ათ. ლარი, მ. შ. 5,7 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 72,5 ათ. ლარი საკ. სახსრებით

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	მოწყობილი წყალმომარაგების ქსელის სიგრძე	18	20	47	

მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროგრამა კვალავ აქტუალურია და მიმდინარე და მომდევნო წლებში აქტიურად მოხდება აღნიშნული პროგრამის განხორციელება რათა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წყალი მიეწოდოს 24 საათიანი გარეკით. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შედარებით მოწესრიგებული, განახლებული და ახლადმოწყობილია წყალგაყვანილობის ქსელი და ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო სასმელი წყლით.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	სოფლების რაოდენობა სადაც ხდება წყლის სისტემის მოწესრიგება	42	45	45	
2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ რეაბილიტირებული წყლის სისტემით	500	550	550	

სანიაღვრე არხების მოსაწყობად, გასაწმენდად და მდინარეებზე ნაპირსამაგრების მოსაწყობად - პროგრამული კოდი 02 02 02 დაგეგმილი 693,9 ათასი ლარიდან გაწეულია 49,4 ათასი ლარის საკასო ხარჯი, აქედან სახ. ფონდებით 5,7 ათასი ლარი მოხმარდა მდინარე ლეღნურაზე სანიაღვრე არხის შეკეთებას. საკუთარი სახსრებიდან 31,7 ათასი სტიქიით დაზიანებული კინოთეატრის მიმდებარედ ნაპირსამაგრის მოწყობას, 11,9 ათასი ლარი კი სხვადასხვა სოფლებში ღვარცოფებისაგან ამოვსებული სანიაღვრე არხების გაწმენდას. ქვეპროგრამის განხორციელების

შედეგად გაიზარდა სანიაღვრე არხებში წყალგამტარიანობა. მდინარეებზე მოწყობილი ნაპირსამაგრების საშუალებით შედარებით შემცირდა დატბორვის საშიშროებები.

დაგეგმილი შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	მოწყობილი და გაწმენდილი სანიაღვრე არხების სიგრძე	200	250	250	
2	მდინარეებზე მოწყობილი ნაპირსამაგრების ოდენობა	5	6	6	

გარე განათება პროგრამული კოდი - 02 03 დაგეგმილი 291,0 ათასი ლარიდან ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების მიერ დახარჯულია 268,4 ათ. ლარი, აქედან ელექტროენერჯის საფასურის დასაფარავად 142,3 ათ. ლარი.

დაგეგმილი შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	გარე განათების წერტილების რაოდენობა	3530	3700	3700	არ არის
2	წლის განმავლობაში შეკეთებული, სანათების რაოდენობა	250	300	300	არ არის
3	წლის განმავლობაში შეკეთებული სადენების რაოდენობა (გრძ. მ)	2500	4000	4000	არ არის
4	წლის განმავლობაში შეკეთებული, გამოცვლილი ბოძების რაოდენობა	90	100	100	არ არის

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე პროგრამული კოდი - 02 04 “ დაგეგმილი 111,7 ათასი ლარიდან

გადარიცხულია 100,3 ათასი ლარი. აქედან საქ. მთავრობის N 116 განკარგულების 97,5 ათასი ლარი ხოლო საკუთარი სახსრების 2,9 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამით სახ. ბიუჯეტის ხარჯზე მოხდა დაბაში ს.მეფის ქ N 56 ში მრავალბინიანი კორპუსის გადახურვა, ხოლო საკუთარი სახსრებით გაწეული იქნა მრავალბინიანი სახლების შეკეთების ზედამხედველობის, ინსპექტირების თანხა.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	რეაბილიტირებული მრავალბინიანი სახლების რაოდენობა	2	1	1	
2	რეაბილიტირებული მრავალბინიანი სახლებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	50	50	80	

„კეთილმოწყობაზე პროგრამული კოდი - 02 05“ დაგეგმილი 234,8 ათასი ლარიდან გაწეულია 212,2 ათასი ლარის საკასო ხარჯი, აქედან საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია 8,7 ათასი ლარი საპროექტო და საზედამხედველებო სამუშაოების შესრულებაზე, ხოლო სახ. ბიუჯეტის ფონდებით გაწეულია 203,5 ათასი ლარის საკასო ხარჯი საქ. მთავრობის 2021 წლის 16.08. N 1419 განკარგულებით საპილოტე პროგრამის ფარგლებში, რითაც დასრულდა კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	რეაბილიტირებული სკვერების რაოდენობა რაოდენობა	4	2	2	

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - პროგრამული კოდი 02 06 დაგეგმილი 1 109.9 ათასი ლარიდან, ფაქტიურად 1 080.8 ათასი ლარი იქნა დახარჯული. 97,4 %. აქედან 876,0 ათასი ლარი სახ. ფონდების სახსრებიდან და 204,9 ათასი

ლარი სავ. სახსრებით, მ. შ 2023 წლის სავ. მთავრობის N 2476 განკარგულებით გამოყოფილი 890,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 870.6 ათასი ლარი; (დან. N 2) საკუთარი საბიუჯეტო სახსრების მონაწილეობის წილმა სოფლის მხარდამჭერი პროგრამაში შეადგინა 18.9 %. საკუთარი სახსრებით მოხდა აღნიშნული ქვეპროგრამით თანადაფინანსება ასევე გაწეული იქნა ექსპლუატაციაში შესული ობიექტების ელექტრონულ სისტემაზე დაერთების ხარჯები. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის განხორციელების შედეგად ყოველწლიურად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების დონე და მათი საყოფაცხოვრებო გარემო. სულ სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 167 ინფრასტრუქტურული პროექტი, მ. შ. 60 პროექტი საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (გზები, ნაპირსამაგრები, სანიაღვრე არხები, საყრდენი კედლები, ხიდები და ხიდბოგირები) და დახარჯულია 356,7 ათ. ლარი. წყლის სისტემების მოწყობაზე 36 პროექტი და დახარჯულია 154,8 ათასი ლარი, წისქვილების რეაბილიტაციაზე 5 პროექტი 9,8 ათ. ლარი, სკვერების მოწყობაზე 6 პროექტი - 71,7 ათასი ლარის, გარე განათების ქსელის მოწყობაზე 32 პროექტი - 235,6 ათასი ლარის, სასაფლაოების მოწყობაზე 17 პროექტი 96,2 ათასი ლარი, სპორტული მოედანი მოეწყო ერთ სოფელში 9,7 ათ. ლარი. სხვა დანარჩენი სამუშაოების შესრულებაზე . მ. შ. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვასა და ელექტროქსელზე დაერთებებზე დაიხარჯა 49,1 ათასი ლარი.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებული პროექტების სულ	148	167	167		
უზნების რაოდენობა სადაც რეაბილიტირებულია საგზაო ინფრასტრუქტურა	50	60	60		
რეაბილიტირებულია წყლის სისტემები	30	36	36		
რეაბილიტირებული წისქვილები	3	5	5		
რეაბილიტირებული სკვერები	4	6	6		
მოწყობილი გარე განათების ქსელი	20	32	32		
შემოღობილი სასაფლაოები	100	17	17		

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - პროგრამული კოდი 03 01 მუნიციპალიტეტმა 2023 წელს დაგეგმილი 1 618,7 ათ. ლარიდან დახარჯა 1 557,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,2 %-ით და გასული წლის მაჩვენებელს აღემატება 206,1 ათასი ლარით. აღნიშნული პრიორიტეტიდან უშუალოდ „დასუფთავება და ნარჩენების გატანა“ ქვეპროგრამაზე დახარჯულია 1 348,9 ათ. ლარი, მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობაზე 196,3 ათასი ლარი და უპატრონო ცხოველების მოვლაზე 12,0 ათასი ლარი. აღნიშნულ პრიორიტეტზე პროგრამების განმახორციელებელია ა(ა)იპ ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება. **ცხ. N 16 ათ. ლარებში**

პროგრ. კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2023 წლის ფაქტი			გეგმა შესრულების %
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 351,1	1 561,7	0,0	1 561,7	1 618,7	0,0	1 618,7	1 557,2	0,0	1 557,2	96,2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 156,042	1 324,5	0,0	1 324,5	1 399,500	0,000	1 399,500	1 348,908	0,0	1 348,9	96,4
03 02	მწვანე ნარჩენების	195,1	219,2	0,0	219,2	201,200	0,000	201,200	196,3	0,0	196,3	97,6

პროგრ. კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2023 წლის ფაქტი			ცვლ. მაჩვენებელი %
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
	მოვლა-პატრონობა											
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0,0	18,0	0,0	18,0	18,000	0,000	18,000	12,0	0,0	12,0	66,6

დაგეგმილი შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი			განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების რაოდენობა	40 მ/კბ	40 მ/კბ	40 მ/კბ.	არ არის	
2	ყოველდღიურად ნარჩენებისგან დავლილი ურნების რაოდენობა	470	490	490ა	არ არის	

მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობაზე პროგრამული კოდი 03 02 დახარჯულია 196,3 თასი ლარი. ქვეპროგრამის შედეგად განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები და უზრუნველყოფილია ერთწლიანი ყვავილებისა და მრავალწლიანი ხე-ბუჩქნარების დარგვა.

დაგეგმილი შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი			განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	ერთწლიანი მრავალწლიანი ნარჩენების განაწესების ფართობი კვ/მეტრი	420	500-600	500-600 კ	არ არის	
2	დარგულია ყვავილების მრავალწლიანი ნარჩენების რაოდენობა.	1500	2500	2500	არ არის	

მიუსაფარი ცხოველების მოვლა პატრონობაზე პროგრამული კოდი 03 03

დაგეგმილი შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი			განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	გაყვანილი მაწანწალა ძაღლების რაოდენობა	0	124	68		მიზეზი არ არის

განათლებაზე პროგრამული კოდი - 04 00 2023 წელს მუნიციპალიტეტმა გათვალისწინებული 3 826,3 ათასი ლარიდან დახარჯა 3 749,8 ათასი ლარი, 98,0 %. აღნიშნული პროგრამის შედეგია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სასკოლო ასაკისა და სკოლის ასაკის ბავშვთა განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის დადგენილი სტანდარტებით კვებაზე და განათლებაზე ხელმისაწვდომობა. სკოლის მოსწავლეთათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მოწესრიგებული სასკოლო ინფრასტრუქტურა. წინა 2022 წელთან შედარებით განათლების ხარჯები გაზრდილია 143,7 ათასი ლარით.

ცხ. N 17 ათ. ლარებში

პროგრ. კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი		2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი		2023 წლის ფაქტი		%
			სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	

				სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
04 00	განათლება	3 606,1	2 710,0	0,0	2 710,0	3 826,3	1 171,3	2 655,0	3 749,8	1 170,6	2 579,2	98,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 732,351	2 350,0	0,0	2 350,0	2 310,000	0,000	2 310,000	2 243,349	0,0	2 243,3	97,1
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	831,8	0,0	0,0	0,0	1 017,440	1 017,440	0,000	1 017,440	1 017,440	0,0	100,0
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	120,845	15,0	0,0	15,0	168,842	153,842	15,000	165,400	153,2	12,2	98,0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	102,7	115,0		115,0	115,000		115,000	115,000		115,0	100,0
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	176,238	215,0	0,0	215,0	215,000	0,000	215,000	208,621	0,0	208,6	97,0

სკოლამდელი განათლების ფუნქციონირებაზე პროგრამული კოდი 04 01 ა(ა)იპ სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებამ 2023 წელში გასწია 2 243,3 ათასი ლარის ხარჯი, აქედან არაფინანსური აქტივების ზრდაზე 33,8 ათ. ლარი. მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები ბავშვების ჰარმონიული განვითარებისთვის.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება	
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
	დამატებითი სათანადოდ აღჭურვილი ბაღების ოდენობა	15	18	18		
	სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 2-3; 3-4; 4-5; და 5-6 (სასკოლო წლის ბავშვების)	2-2 წლის 90; 3-4 წლის 100; 4-5 წლის 153; 5-6წლის 180	2-2 წლის 90; 3-4 წლის 100; 4-5 წლის 153; 5-6წლის 180	2-2 წლის 43; 3-4 წლის 102; 4-5 წლის 150; 5-6წლის 175		ბავშვთა აღქმადობა
	სერთიფიცირებული აღზრდელების ოდენობა	0	50	50		აღზრდით სერტიფიცირებული დამოკიდებულება
	სურსათის უვნებლობის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული შენიშვნების რაოდენობა	2	0	0		

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დელეგირებაზე - პროგრამული კოდი 04 03 2023 წელს საქართველოს მთავრობის N 147 განკარგულებით დაიხარჯა 1 017,4 ათასი ლარი, ამ პროგრამას ემსახურებოდა 80 მიკრო ავტობუსი, შესრულებულია 152 რეისი და გადაყვანილია 1396 ბავშვი.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება	
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	მომსახურე მიკროავტობუსების რაოდენობა	80	80	80		
2	შესრულებული რეისების რაოდენობა	125	145	152	7	ცვლილებები შეთანხმებამში
3	გადაყვანილი მოსწავლეების რაოდენობა	1 369	1 369	1 396	27	ახალი სასწავლო წელი

მუნიციპალიტეტმა სსიპ ბორის საჯარო სკოლის სუბსიდირებაზე - პროგრამული კოდი 04 05 დახარჯა 115,0 ათასი ლარი, მოხდა პანსიონური ტიპით მომსახურების გაუმჯობესება

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
	სკოლა-პანსიონის ბენეფიციართა რაოდენობა ა	14	12	12	

სკოლების რეაბილიტაციაზე პროგრამული კოდი 04 04 გაწეულია 165,4 ათასი ლარი, აქედან საქ. მთვრობის N 147 განკარგულებით 153,2 ათასი ლარი, მ.შ. სოფ. მოლითის საჯარო სკოლის სპორტული მოედნის დაზიანებულნი საყრდენი კედლების გამაგრებას 30,9 ათასი ლარი მოხმარდა და 122,7 ათასი ლარი სოფ. სარგვეშის საჯარო სკოლის შენობის მოწყობაზე (კარ-ფანჯრების შეცვლა) დაიხარჯა. ხოლო საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 12,2 ათასი ლარი დაიხარჯა საპროექტო-საზედამხედველო სამუშაოების დასაფინანსებლად.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	რეაბილიტირებული სკოლების რაოდენობა	2	2	2	

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე პროგრამული კოდი 04 06 დახარჯულია 208,6 ათასი ლარი. ქვეპროგრამის განხორციელებით მოხდა მეტი მოზარდის ჩართულობა წარმატებით ჩატარებულ ღონისძიებებში; თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენება. მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის შექმნილია თანაბარი პირობები ყველა დასახელების წრეში.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების და აქტივობები ჩატარება	30	30	40	2%
	მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და გასვლით ღონისძიებებში	10	10	10	0%
	წრეებით მოსარგებლე (6-დან - 18 წლამდე) ბენეფიციარების რაოდენობა.	250	250	240	4%

კულტურა, რელიგია, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე - პროგრამული კოდი 05 00

დაგეგმილი 2400.0 ათასი ლარიდან დახარჯულია 2 352.7 ათასი ლარი, 98%, ხოლო წინა 2022 წელთან შედარებით აღნიშნულ პრიორიტეტს 564,4 ათასი ლარით მეტი მოხმარდა.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შედეგად მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ აქტივობებში. ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის ჩემპიონატები და ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაიზარდა ქორეოგრაფიულ, მუსიკალურ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე ჩართული ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობა.

ცხრ. N 18 ათას ლარებში

პროგრ. კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2023 წლის ფაქტი			მშპს შესრულების %
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 788,4	1 936,3	0,0	1 936,3	2 400,0	395,9	2 004,1	2 352,7	371,9	1 980,9	98,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	635,4	655,0	0,0	655,0	723,475	84,613	638,862	707,809	84,6	623,2	97,8
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	7,605	15,0	0,0	15,0	10,362	0,000	10,362	9,952	0,0	10,0	96,0
05 01 02	სპორტისა და შიდა	480,7	580,0	0,0	580,0	590,000	0,000	590,000	575,995	0,0	576,0	97,6

პროგრ. კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2023 წლის ფაქტი			მომხმარებლის % შესრულების
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
	ტურიზმის ხელშეწყობა											
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	147,1	60,0	0,0	60,0	123,113	84,613	38,500	121,862	84,612	37,250	99,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 035,380	1 139,8	0,0	1 139,8	1 524,980	311,242	1 213,738	1 494,629	287,271	1 207,358	98,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 022,2	1 129,8	0,0	1 129,8	1 478,600	290,000	1 188,600	1 474,173	287,3	1 186,9	99,7
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	162,416	180,0	0,0	180,0	183,300	0,000	183,300	183,233	0,0	183,2	100,0
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	839,1	927,0	0,0	927,0	982,500	0,000	982,500	980,869	0,0	980,869	99,8
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	20,7	22,8	0,0	22,8	22,800	0,000	22,800	22,8	0,0	22,8	100,0
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	13,189	10,0	0,0	10,0	313,638	290,000	23,638	306,227	287,3	19,0	97,6
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	73,689	84,5	0,0	84,5	94,500	0,000	94,500	94,414	0,0	94,4	99,9
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	0,0	0,0	0,0	22,742	21,242	1,500	1,500	0,000	1,500	
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	30,0	40,0	0,0	40,0	40,000	0,000	40,000	40,0	0,0	40,0	100,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	13,908	17,0	0,0	17,0	17,000	0,000	17,000	15,895	0,0	15,9	93,5

სპორტის განვითარებაზე პროგრამული კოდი 05 01 2023 წელს დაგეგმილი 723,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 707,8 ათასი ლარი. პროგრამის განხორციელების შედეგად რეაბილიტირებულია სპორტული ინფრასტრუქტურა დაშეკმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო ახალგაზრდებისა და მოზარდი თაობის წვრთნისა და სპორტული მომზადებისათვის .

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	სპორტული წრეების ბენეფიციართა რაოდენობა (6-დან 18 წლამდე)	600 ბავშვი და მოზარდი (გოგონა 150 , ვაჟი 450)	600	600	განხორციელდა დაგეგმილზე მეტი ღონისძიება
	მწვრთნელების რაოდენობა	27	27	27	
	სპორტულ ტურნირებში მონაწილეობა	600	650	700	

სპორტულ ღონისძიებების დაფინანსებას პროგრამული კოდი 05 01 01 9,9 ათასი ლარი მოხმარდა.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
	ჩატარებული სპორტული	20	30	30	

	ლონისძიებების რაოდენობა				
	სპორტულ შეჯიბრებებში ჩაბმული ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა	600	700	700	

575,9 ათასი ლარი დაიხარჯა სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე - პროგრამული კოდი 05 01 02

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	სპორტულ ცენტრში არსებული სპორტის სახეობების რაოდენობა	12	15	14	
2	ბავშვების რაოდენობა	450	470	463	
3	სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	60	70	68	

